

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

24 თებერვალი 2017 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ; და

მეორე მხრივ, შპს „მომავლის ენერჯია“ (შემდგომში „კომპანია“) ს/კ: 400180237, წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი მირუაშვილის მიერ;

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში “მემორანდუმი”) შემდეგზე:

1. მიზანი

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლა და მისი მშენებლობა, ფლობა, ოპერირება ამ მემორანდუმით და მხარეთა შორის შემდგომში შეთანხმებული პირობების მიხედვით (შემდგომში „პროექტი“).

2. პროექტის ვადები და პირობები

2.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, მემორანდუმის დანართ N1 და N2-ში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად, ვალდებულია:

2.1.1. განსაზღვროს პროექტისათვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;

2.1.2. ჩაატაროს და დაასრულოს სრული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში) და წარუდგინოს ის საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს (შემდგომ - „სამინისტრო“);

2.1.3. სამინისტროს წარუდგინოს წინადადება ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.

2.2. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მემორანდუმის 2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად გადაწყვეტს ელექტროსადგურის მშენებლობას, მან მთავრობას უნდა წარუდგინოს წინადადება დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:

2.2.1. კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურის მშენებლობაზე;

- 2.2.2. სრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და საპროგნოზო წლიური გამომუშავების ჩათვლით;
 - 2.2.3. ელექტროსადგურის განლაგების ზუსტ კოორდინატებსა და მდინარის ნიშნულებს;
 - 2.2.4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
 - 2.2.5. სრულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევას;
- 2.3. თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგების საფუძველზე აღმოჩნდება, რომ ელექტროსადგურის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისათვის ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, კომპანია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის შემდგომი განხორციელების თაობაზე და შესაბამის შეტყობინებას გაუგზავნის მთავრობას, მისთვის მემორანდუმის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული წინადადების წარდგენამდე.
 - 2.4. კომპანიის მიერ 2.2 პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან 4 თვის ვადაში სამინისტრო და კომპანია ერთობლივად განიხილავენ ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს და შესაბამისი მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დასადები ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) პირობებს, რაზეც შეთანხმების შემთხვევაში, საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მთავრობას, ხოლო ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობისა და ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე მთავრობის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მხარეები ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას. მთავრობის გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ კომპანიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას, ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგებს.
 - 2.5. ელექტროსადგურს მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარადგინოს სამშენებლო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურის საპროექტო სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 50,000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების თარიღს უნდა აღემატებოდეს 5 თვით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD“) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ.
 - 2.6. მთავრობა, ამ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადის განმავლობაში კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცემს დანართი N1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და

- ოპერირების უფლებას სხვა პირს, გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 2.7. წინამდებარე მემორანდუმის 2.4 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების ვადის ამოწურვამდე მთავრობა არ გადასცემს სხვა პირს დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას, რომლის მშენებლობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის შესაბამისად სამინისტროსთვის წარდგენილ იქნა წინადადება ან/და ამ მემორანდუმის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 2.8. მთავრობა უფლებამოსილია 2.6 ან/და 2.7 პუნქტებით დადგენილი ვადის გასვლამდე კომპანიის თანხმობის გარეშე გადასცეს დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლება სხვა პირს, თუ:
- 2.8.1. მთავრობას გააჩნია სარწმუნო/დადასტურებული მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ კომპანია ვერ უზრუნველყოფს დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ჩატარებას;
- 2.8.2. კომპანიამ დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურზე დაარღვია მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ნებისმიერი ვადა (დანართი N2) მემორანდუმის 4.2. პუნქტის გათვალისწინებით;
- 2.8.3. კომპანიამ დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე წერილობით უარი განაცხადა.
- 2.9. კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას ხელთ არსებული დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით, თუ:
- 2.9.1. მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად სამინისტროსთვის წინადადება არ იქნა წარდგენილი;
- 2.9.2. მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ მხარეთა შორის არ დაიდო ხელშეკრულება მემორანდუმის 2.4 პუნქტის შესაბამისად;
- 2.9.3. დადგა 2.8 პუნქტის შესაბამისი ნებისმიერი გარემოება.
- 2.10. ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი,

სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი („ზამთრის პერიოდი“)) ელექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული რეალიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

2.11. თუ ელექტროსადგურის განთავსების სავარაუდო ტერიტორიებზე არსებობს ლიცენზირებული კარიერი ან წიაღისეულის საბადო, საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებული პირმა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა მოიპოვოს წიაღით მოსარგებლის შესაბამისი თანხმობა, ხოლო ელექტროსადგურის განთავსების სავარაუდო ადგილის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მოხვედრის შემთხვევაში - სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობისათვის დადგენილი წესით.

3. მიწის საკუთრების უფლება და მშენებლობის ნებართვა

3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით გადაცემას, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

3.2. მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩენს კომპანიას სათანადო დახმარებას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის პროცესში, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

4. პროექტის ხარჯები, ინფორმაციის მიწოდება

4.1. პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

4.2. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადების დღიდან ვალდებულია კვარტალში ერთხელ სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მიერ დანართი N2-ით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროგრესს და უნდა შეიცავდეს კონკრეტული კვლევის დასაბუთების შესახებ ინფორმაციას, მიღებულ შედეგებს, გაანგარიშებებს, გათვლებს, პარამეტრებს, გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების მითითებით. თუ აღნიშნული ანგარიში, მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის შესაბამისი ხარისხის, სამინისტრო წერილობითი შეტყობინების მეშვეობით უფლებამოსილია კომპანიას განუსაზღვროს დამატებით 3 (სამი) თვემდე გონივრული ვადა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული დამატებითი დრო არ განაპირობებს მემორანდუმის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდას.

5. მემორანდუმის მოქმედება

- 5.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
- 5.2. მემორანდუმის მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს:
 - 5.2.1. მხარეთა შეთანხმებით;
 - 5.2.2. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, სამინისტროს მიერ კომპანიისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - ა) სამინისტროსთვის კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად წინადადება არ იქნა წარდგენილი;
 - ბ) კომპანიის მიერ 2.2 პუნქტის შესაბამისად სამინისტროსთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ მხარეთა შორის არ დაიდო ხელშეკრულება მემორანდუმის 2.4 პუნქტის შესაბამისად;
 - გ) თუ ადგილი ექნება 2.8. პუნქტის ერთი ან მეტი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს - მემორანდუმის 2.6. ან/და 2.7 პუნქტებით დადგენილი ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს;
 - დ) ავტომატურად, მემორანდუმის 2.4 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადებისთანავე;
 - ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 5.3. წინამდებარე მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მემორანდუმის მოქმედების და კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.4. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ აუქმებს მემორანდუმის 2.10. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.

6. ცვლილებები

- 6.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 6.2. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგად, შეიცვალა ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, მთავრობა განიხილავს მემორანდუმში ცვლილებების შეტანის საკითხს.
- 6.3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ან/და პროექტის განხორციელების პროცესში კომპანია შეფერხდება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მათ შორის, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო კერძო საკუთრებაში არსებული ან დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების მესაკუთრებისგან/მოსარგებლეებისგან სათანადო უფლებების გაფორმების ან გადმოცემის, მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის გამო), კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, მთავრობა განიხილავს მემორანდუმით გათვალისწინებული ვადების შესაბამისი პერიოდით გადაწევის ან/და მემორანდუმში სხვაგვარი ცვლილებების შეტანის საკითხს.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ მემორანდუმის ნებისმიერი მუხლი ან პუნქტი გახდება ბათილი ან ძალადაკარგული, ეს არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

7. შეტყობინება

მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორექსონდენცია, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით (ორიგინალთან ერთად). შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, ამბოხი, აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტი, უცხოური მოწინააღმდეგის მიერ ჩადენილი მტრული ქმედება, ბლოკადა, ემბარგო, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური ან მეტეოროლოგიური მოვლენა.

8.2 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის მემორანდუმით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის ვალდებულებების ან/და უფლებამოსილებების შესრულებას/განხორციელებას, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ. აღნიშნულ შემთხვევაში მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ფორს-მაჟორული მოვლენების არსებობის ვადის შესაბამისად.

8.3 მხარე, რომლისთვისაც მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება ფორს-მაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

9.1. წინამდებარე მემორანდუმი განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების მეშვეობით დავის 3 (სამი) თვის განმავლობაში გადაუწყვეტელობის შემთხვევაში, ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება წარმოქმნილი ამ მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ასლები, მემორანდუმის ენა

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

11. ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალამე

შპს „მომავლის ენერჯია“


გიორგი მირუაშვილი

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მეტრი ზღვის დონიდან		საშუალო წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
ქვემო ოროზმან ჰესი	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ოროზმანი, მდ. მამულთი (მაშავერას მარჯვენა შენაკადი)	1243	1175	4,38 მლ. კვტ.სთ	0,63 მგვტ

დანართი N2

ჰიდროელექტროსადგურის დასახელება: ქვემო ოროზმან ჰესი	მემორანდუმის ხელმოწერიდან 3 თვეში	მემორანდუმის ხელმოწერიდან 6 თვეში	მემორანდუმის ხელმოწერიდან 9 თვეში
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების განმარტებები			
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება			
გეოლოგია, გეოფიზიკა			
სეისმური რისკის ანალიზი			
სამშენებლო მასალების კვლევა			
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები			
ჰიდრაულიკური კვლევები			
ალტერნატიული ანალიზი			
ტექნიკური დიზაინი			
ინფრასტრუქტურა			
ელექტროენერჯის გენერაცია და გამოყენება			
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი			
სამუშაოების მოცულობის უწყისი			
მშენებლობის ორგანიზება			
ეკონომიკური ანალიზი			
ფინანსური ანალიზი			
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა			
სამუშაო ძალის დატრენინგების გრაფიკი			
ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ანგარიშის წარდგენა			
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა			
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენა			

ენაქუ



საქართველოს მთავრობის ბანკარგულება


№196 2017 წლის 9 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „მომავლის ენერჯის“ შორის
„ქვემო ოროზმან ჰესის“ თაობაზე დასადები ურთიერთგაგების
მემორანდუმის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „მომავლის ენერჯის“ შორის „ქვემო ოროზმან ჰესის“ თაობაზე დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010179138739617

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№638

02 / თებერვალი / 2017 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმაღამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2017 წლის 30 იანვრის №04/357 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „მომავლის ენერჯის“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით ურთიერთგაგების მემორანდუმის 2.9 პუნქტში არსებული კომპანიის ვალდებულება – მოთხოვნისთანავე უსასყიდლოდ გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი, მიზანშეწონილია, ამავე პუნქტის 2.9.2 ქვეპუნქტში ასევე ცალსახად უკავშირდებოდეს ურთიერთგაგების მემორანდუმის 2.4 მუხლით დადგენილ ვადაში ხელშეკრულების არდადებას. ამასთან, მსგავსი ჩანაწერი მიზანშეწონილია, დაემატოს ურთიერთგაგების მემორანდუმის „5.2.3.გ“) ქვეპუნქტსაც.


2. მემორანდუმის პროექტის 3.1 პუნქტს მიზანშეწონილია, დაემატოს შემდეგი ჩანაწერი: „... საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ...“. ამასთან, ამავე პუნქტს მიზანშეწონილია, დაემატოს შემდეგი დებულება: „...იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.“.

3. მემორანდუმის პროექტის მე-8 მუხლიდან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ მომავალში ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის ათვლის ეტაპთან დაკავშირებული შესაძლო ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია, ხსენებულ მუხლს დაემატოს ჩანაწერი მხარეთა მიერ შეტყობინების ვალდებულების თაობაზე.

4. აქვე შევნიშნავთ, რომ მემორანდუმის პროექტი შეიცავს რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ხარვეზს, კერძოდ: ა) „5.2.2“ და „5.2.3.ა“) ქვეპუნქტები უთითებს მემორანდუმის შეწყვეტის ერთსა და იმავე საფუძველს. შესაბამისად, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია, „5.2.2“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს მემორანდუმის პროექტიდან; ბ) 5.2 პუნქტის ბოლო ორი წინადადება საჭიროებს დამოუკიდებელ ქვეპუნქტებად ჩამოყალიბებას.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე



ალექსანდრე ნარაშიძე



**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16102446, 18/07/2016 10:06:12

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს მომავლის ენერჯია
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400180237
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 18/07/2016
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანი, II მ/რ, კორპ. 33, ბ.78
დამატებითი ინფორმაცია:
 ელ. ფოსტა: giomiruashvili777@gmail.com
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01001024937, გიორგი მირუაშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01001024937, გიორგი მირუაშვილი	100.0000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაესეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge